მეგა
ჰოლდინგი

თარიღი: 05.05.2022
ნომერი: S-38

გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
25. 05 2022
№ 1806

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს „მეგა ჰოლდინგს" კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიაბის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი, რომელიც ფუნქციონირებს მრავალი წელია სამინისტროსთან შეთანხმებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად. ვინაიდან, გათვალისწინებულია საწარმოს წარმადობის ზრდა, კომპანიამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე წლის 10 მარტს N5114 წერილით წარადგინა შესაბამისი სკრინინგის განცხადება.

კომპანიას, მიმდინარე წლის 4 აპრილს, სამინისტროს N3272/01 წერილით ეცნობა დოკუმენტაციაში დასაზუსტებელი საკითხების თაობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ წერილი კომპანიამ მიიღო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან მე-17 სამუშაო დღეს, რაც სცილდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისთვის განსაზღვრული დღეების რაოდენობას. კომპანიამ უზრუნველყო ზემოაღნიშნულ წერილში მოთხოვნილი ინფორმაციის სკრინინგის დოკუმენტაციაში ასახვა, თუმცა აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე შენიშვნაზე პასუხი უკვე მოცემული იყო ჩვენ მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში, კერძოდ, სამინისტროს წერილის თანახმად:

- სკრინინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის საწარმოს ტერიტორიიდან გატანის (მათ შორის მისასვლელი გზების, შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობისა და გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების) შესახებ - ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, თავდაპირველ სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი იყო თავებში N3; N4 და N6.
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი - აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი იყო თავდაპირველი

საქართველო, თბილისი 0178, ქერჩის ქ. N6გ
T: +995 322 322222
E: sales@mega.com.ge
Web-Page: www.megaholding.com.ge

სკრინინგის ანგარიშის თავში N5.4, რის მიხედვითაც, ვინაიდან საწარმოში არ მიმდინარეობს ისეთი საქმიანობა, რაც იწვევს სანიაღვრე წყლების სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებას, ტერიტორიაზე წარმოქმნილ სანიაღვრე წყლები გადის გრუნტში.

წარმოგიდგენთ რელევანტური შენიშვნების მიხედვით შესწორებულ, განახლებულ სკრინინგის დოკუმენტს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, საწარმოს გენ. გეგმა.

პატივისცემით,

პავლე ლოლაძე

შპს „მეგა ჰოლდინგის" დირექტორი

საქართველო, თბილისი 0178, ქერჩის ქ. N69
T: +995 322 322222
E: sales@mega.com.ge
Web-Page: www.megaholding.com.ge